ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი
„ინტელექტი“

პრესრელიზი

2016 წლის 4 მარტს, 12 საათზე **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“** პროექტის „სოფლის განვითარების ხელშეწყობის საპილოტე პროგრამის“ პრეზენტაციას გამართავს.

პროექტის მიზანია **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“** მიერ შემოთავაზებული - სოფლის აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანების ჩამოყალიბების, სოფლის განვითარების სტრატეგიების ფორმირების, განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის აპრობაცია.

პროექტის ფარგლებში „ინტელექტი“ ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში ჩამოაყალიბებს LAG-ს, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ, აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანებას, რომელსაც მინიჭებული აქვს არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი და დამოუკიდებლად ეწევა საქმიანობას სოფლის განვითარების პოტენციალის გამოვლენის, საჭიროებების შესწავლისა და განვითარების სტრატეგიების ფორმირება-განხორციელების მიმართულებით. LAG-ის დახმარებითაც შეიმუშავებს თემის განვითარების საშუალოვადიან სტრატეგიებს, ქვეპროგრამებს და განახორციელებს პროგრამებს.

მისამართი: დაბა ხულო, გამგეობის სააქტო დარბაზი.

<u>დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:</u>

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. # 13
ტელ.: 241640; 241650; 599 18 50 98
ელ. ფოსტა: teona@intellect.org.ge
საკონტაქტო პირი: **თეონა კაკაციძე**

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.